აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 18 | 22 ნოემბერი 2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (09-01-08/38 17.11.2022 წელი)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

17.11.2022 წელი	წამყვანი კომიტეტი: 13.12.2022წ. სხვა კომიტეტები: 07.12.2022წ.	საშემოდგომო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1889

2022 წლის **14** ნოემბერი ქ. ბათუმი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ" და ,,კ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ადმინისტრაციის უფროსი - თინათინ ზოიძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პორნიკე რიჟვაძე

6635-02-2-202211161259
https://edocument.ge/AdjaraGov/public

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 6636/02 "16" 11 2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი: ,, 5 " ფურცელზე.

09-01-08/38
17 11 2022
6

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე

09-02 15/929
1 5
16 11 2022

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272006, 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9. K. Gamsakhurdia Str.
Phone: +995 (422) 272006, 272070
administration@ajara.gov.ge

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №68, 14.12.2010) დაემატოს შემდეგი შინაარსის „29^4 “ მუხლი:

„მუხლი 29^4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე გადაუხდელი სარგებლობის საფასურისა და სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების გათავისუფლება.

ის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემული ჰქონდათ უძრავი ქონება, გათავისუფლდნენ გადაუხდელი სარგებლობის საფასურისა და სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან 2020 წლის 21 მარტიდან ამ კანონის ამოქმედებამდე პერიოდისათვის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
------ ------ 2022 წ.
N ---------

ვიზირებულია:
აპარატის უფროსი — ჯაბა სურმანიძე

იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის დეპარტამენტის უფროსი — ირინა ბათაძე

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადდა ახალი კორონავირუსი (covid-19) და 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი N1 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

ცხადი გახდა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსი, წარმოადგენს გამოწვევას მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობისათვის მოქალაქეთა ჯანდაცვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დადგენილმა შეზღუდვებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის არსებობა ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, გარკვეულ შემთხვევებში აძნელებს/შეუძლებელს ხდის ქონების შემძენთა/სარგებლობის უფლებით/მართვის უფლებით მიმღებ პირთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, რაც არ არის დამოკიდებული მათ ბრალეულ ქმედებაზე და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მათი კონტროლის ფარგლებში არ ექცევა. მაგალითისათვის, ქონებით მოსარგებლის მიერ საიჯარო ქირის დროულად გადახდა დამოკიდებულია სარგებლობის უფლებით მიღებული ობიექტის ფუნქციონირების შესაძლებლობასა და ამ ფუნქციონირებით გენერირებულ შემოსავალზე. ქონების შემძენთა/მოსარგებლეთა ნაწილს ვალდებულების შესრულების პრობლემა შეექმნათ არა ერთი მიზეზით (შესაბამისი სარგებლობის უფლებით მიღებული ობიექტის ფუნქციონირების შეჩერება, მშენებლობის პროცესში გამოყენებულ მასალებთან წვდომის შეზღუდვა, წარმოების პროცესში ნედლეულის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება დაწესებული შეზღუდვების გამო და სხვა).

შესაბამისად, წარმოიშვა საჭიროება, იმ შემთხვევებში, როდესაც ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის/მართვის უფლებით გადაცემის/სარგებლობაში გადაცემის პირობის შესრულება შეუძლებელი ხდება ან რთულდება საგანგებო მდგომარეობის ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის დროს, ქონების შემძენთა/სარგებლობის უფლებით/მართვის უფლებით მიმღებ პირთა მიმართ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც შეამსუბუქებს მეწარმე სუბიექტების მდგომარეობას.

ამასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად ქონების მყიდველების, სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღებების მიმართ, რომლებიც მიმართავენ სამინისტროს ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციებისაგან გათავისუფლების ან/და ვალდებულებების შეცვლის/გადახედვის თაობაზე, სამინისტრო უფლებამოსილია საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება პრივატიზებულ, სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლის/გადახედვის ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/ დასაკისრებელი სანქციისაგან გათავისუფლების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმის მოქმედება არ ვრცელდება იმ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირებზე, რომლებსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემული ჰქონდათ უძრავი ქონება და პანდემიის შედეგების გათვალისწინებით ვერ გადაიხადეს სარგებლობის საფასური და სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო ერიცხებათ ან დაერიცხებათ პირგასამტეხლო. სწორედ აღნიშნული საკითხი საჭიროებს სათანადო მოწესრიგებას საკანონმდებლო დონეზე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში არსებულმა ახალი კორონავირუსის (COVID19) პანდემიამ ცხადყო, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ან ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის არსებობა დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების გართულებასთან/შეუძლებლობასთან. ასეთ დროს ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის/მართვის უფლებით გადაცემის/სარგებლობაში გადაცემის პირობების შეუსრულებლობა (განკარგვის ფორმის მიუხედავად), არ არის დამოკიდებული კონტრაჰენტთა ბრალეულ ქმედებაზე და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მათი კონტროლის სფეროში არ ექცევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის მიღება აუცილებელია, რომ გაჩნდეს მყარი სამართლებრივი საფუძველი, რათა საგანგებო მდგომარეობის ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის მიზეზით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე გადაუხდელი სარგებლობის საფასურისა და სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლდნენ შესაბამისი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია

დასახელებული მოვლენებით ეკონომიკისათვის გამოწვეული ნეგატიური შედეგების მინიმიზაციისა და ეკონომიკური აქტივობების სტიმულირებისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანას, რის შედეგადაც კანონს ემატება 29[4] მუხლი, რომლის მიხედვით ის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდული პირები, რომლებსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემული ჰქონდათ უძრავი ქონება, გათავისუფლდნენ გადაუხდელი სარგებლობის საფასურისა და სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან 2020 წლის 21 მარტიდან (საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ დეკრეტის მიღების თარიღი) ამ კანონის ამოქმედებამდე პერიოდისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სამეწარმეო სუბიექტების საშემოსავლო ნაწილი მცირდება დაახლოებით 1 018 450 ლარით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების საფუძველზე, ის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდული პირები, რომლებსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემული ჰქონდათ უძრავი ქონება და თავისუფლდებიან გადაუხდელი სარგებლობის საფასურისა და სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან, შესაძლოა, მათ მიმართ კანონპროექტმა იქონიოს ფინანსური გავლენა, რადგან როცა ისინი გათავისუფლდებიან ცალკეული ფულადი ვალდებულებისგან, კანონპროექტის გავლენა იქნება დადებითი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონეიებს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

21/11/2022
N 1901

1901-09-02-11-3-202211211310

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/38, 17.11.2022 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი